კვირა, 10 ივლისი, 1916 წ.

რედაქციის ადრესი:
თბილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

# ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 28

F 644

## ჩვენებური, თავადური „კურორტი"



## ახტალა

ქარი გამიჩნდა ფეხებში...
თორმეტი წელი მაწვალა...
მეცამეტეზე, ვილაცამ
კახეთს აბანო მასწავლა.

— ახტალა ჰქვია სახელად,
ტალახი უდულს შავიო,
არ დაბრუნდება მიმსვლელი
იქიდან უკურნავიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაველ. მიველი გურჯაანს.
აბანოც იქვე ყოფილა.
ქალ-ვაჟი, ღორი, კამეჩი
შიგ ყრია დედიშობილა.

აქ არ იციან გარჩევა
არც სქესის, არცა ჯიშისა,
არც გაშლილ ველზე სიტიტვლე
არის მომგვრელი შიშისა.

ღრუტუნას გვერდით ჩავწექი,
(კამეჩის მეზობელათა),
ამოვითხიპნე ტალახში,
საცნობი გავხდი ძნელათა.

ამოველ, მაგრამ არა სჩანს
არსად თავ-შესაფარები...
გვერდებში ქვალი გამიჩნდა,
ფეხებში ასტყდა ქარები...

სიკვდილი, ურცხვი სიკვდილი,
თვალწინ დამიდგა შავადა.
ჩემს გამბრიყვებელს, თუ შევხვდი,
არ დავზოგ მოსაკლავადა.

ეს რა მასწავლა ოხერმა
რა ხათაბალა, რა ჭირი...
ერთად ჩაყრილი ტალახში
ადამიანი... ნახირი!..

ცხადია, კახელ თავადებს
ღმერთმა რო მისცა ახტალა.
იმისი მოვლა-მოწყობა
ბედოვლათთ აღარ ასწავლა.

**მორიელი.**

# ყაურმა

ალარავისთვის საეჭვო არ არის, რომ გერმანიაში ყოველგვარი სანოვაგე საშინლათ გაძვირდა, რომ ცხოვრება აუტანელი შეიქნა და დღეს თუ ხვალ, მტერი იძულებული იქნება იარაღი დაჰყაროს და ზავი მოითხოვოს.

ამიტომაც მე და გერასიმე ყოველთვის მზადა ვართ მთავრობის სად პოლიტიკას დახმარების ხელი გავუწოდოთ და გარწმუნებთ მხოლოდ ამ კეთილმა განზრახვამ გამოიწვია ჩვენი გადაწყვეტილება:

— საკუთარი ხელით ვაკეთოთ „პური ჩვენი არსობისა“, ჩვენი სადილი.

სიმართლე ითქვას ისა სჯობია: გერასიმე უფრო დახელოვნებულია საოჯახო საქმეებში და დანამდვილებით ვიცი ცოლის თხოვნაც შედის მისი მომავლის პროგრამაში. ჩემი საქმე სულ სხვანაირია. ოჯახურ საქმეებში მე უფრო დამხმარე, ხელქვეითი როლების შესრულება მეხერხება და პრემიერობაზე არც არასოდეს მიფიქრია. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ჩემი მეგობრი „სამზარეულოს“ ნაკითხი კაცია და ამ შემთხვევაში ავტორიტეტული აზრის მექონე.

ჩვენს საზოგადო კრებაზე ყაურმის შემზადება უკამათოდ იქნა მიღებული.

— აბა დატრიალდი, ხორცი იშოვე,—ალერსით მითხრა გერასიმემ და ჩვენი ერთად-ერთი ლურჯი ქვაბი ჩამოიღო.

— ამ წუთში!

საათ ნახევარს 6 წამი უკლდა, როცა გირვანქა ნახევარი ხორცით ხელში გაოფლებული დავბრუნდი.

— ბიჭოს! ეგრე მალე?

გაიკვირვა გერასიმემ და გულში უნებლიეთ სიამაყე ვიგრძენ.

— ვერ წარმოიდგენ რა ხათრიანსა და კეთილ მეყასბეს წავაწყდი,—თქვენთვის, იყოს არ იყოს გავაჩენთ გინდ სამწვადესაც, მაგრამ ნურავის ეტყვითო —მამაშვილურის მზრუნველობით მითხრა ყასაბმა.

— ნაცნობი ხომ არ ყოფილა?

— გეფიცები პირველათ ვნახე. სადღაც დაბლა, სარდაფში ჩაძვრა, ქაღალდში შეხვეული ამოიტანა, დუქანში არც აუწონია, გირვანქა ნახევარზე მეტია მაგრამ თქვენ ოთხ აბაზს გიანგარიშებთო.

— ამდენი ძვალი რო არ ერიოს წონი არ ეთქმის. აბა დროს ნულარ ვკარგავთ, დასჭერი წვრილათ.

დაჭრა ჩემი საქმე იყო. არცერთმა დანამ არ აიღო. გადავსწყვიტე სამართებლის ხმარა, რომ გერასიმეს დაენებებია. მარცხენა ხელზე სამი თითი მოვიჭერ: სალოკი, უსახელო და ცერი. მაგრამ ჭრი-

ლობა რა მოსატანია, როცა წმინდა მოვალეობას ასრულებ!

— უნდა გაირეცხოს ცხელი წყლით,— ავტორიტეტულად შემნიშნა გერასიმემ და მეც გამოუცდელობით ორივე ხელი დავიმდუღრე. ასეა, საზოგადო საქმე ყოველთვის მსხვერპლს მოითხოვს. არასოდეს არ დამავიწყდება ის წამი, როდესაც დამდუღრული და გარეცხილი ხორცი გერასიმემ ქვაბში ჩაჰყარა. მის სახეზე ღვთაებრივი კრძალვა, მოწიწება და მღვდელ-მოქმედება იხატებოდა.

— აბა ახლა ძმარი, ეცადე ღვინის ძმარი იშოვო.

სულ რაღაცა ნახევარ საათში, პატარა ბოთლით ხელში, უკვე სამზარეულოს კარებს მივადექ.

— კაცო, სად გააჩინე ასე მალე?

— შენ ყოველთვის უნდა აქო ადამიანი! განა ნახევარი საათი ჩქარაა? უფერო კია, მაგრამ უთუოდ ღვინის უნდა იყოს. ვერ წარმოიდგენ რა იაფი ყოფილა ძმარი. აი ეს ბოთლი სულ რაღაც ცხრა შაური ღირს. ამდენს ღვინოსაც ვერ იშოვი მაგ ფასათ.

— ჯერ ჩვენი საქმე კარგათ მიდის,—გამამხნევა გერასიმემ.—აბა ჩაასხი ნახევარი მაინც.

მე გამოვზომე სწორედ ნახევარი და დაავასხი ხორცს. სულ პატარა ხანში ქვაბმა ჩახჩახი დაიწყო და ჩვენი გული მხიარულებით აღავსო.

— უმთავრესი კი დაგვავიწყდა!—წამოიძახა გერასიმემ.—„მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“ ტყუილათ ხომ არ ამბობენ.

— მართლა მარილი! აი ახლავე.

ათ წუთში უკან დავბრუნდი, ვინაიდან მარილი სულ ახლოს ვიშოვე და თითქმის მუქთად. ნახევარ გირვანქა დაფქვილსა და ქაღალდში შეხვეულ მარილში მხოლოდ 76 კაპ. გამომართვეს. გერასიმემ სამი დიდი კოვზი მარილი თავისი ხელით ჩაჰყარა ქვაბში და რამოდენიმეჯერ მოურია.

— მე მგონია პილპილი კარგ გემოს მისცემს! მოკრძალებით შევნიშნე ჩემს მეგობარს და დუქნისკენ მოვკურცხლე. პატარა კოლოფი ცამეტ შაურათ დამითმეს ისე, რომ, ვაჭრობაც არ დამჭირდებია.

— წიწაქა ერთი კოვზი ალბათ ეყოფა.

— მე რას მეკითხები. ჩემის აზრით მთლად რომ ჩავყაროთ ცოტა იქნება, რადგან მე ძლიერ მიყვარს ცოტა სიმწარე თუ დაჰკრავს საჭმელს. ორ კოვზზე შევთანხმდით, ვინაიდან ცხადია მარილი უნდა სჭარბობდეს.

სამზარეულოში განსაცვიფრებელი სურნელი დადგა, რომელშიაც ძმრის ელემენტი საგრძნობლად სჭარბობდა. არასოდეს არ წარმომიდგენია, თუ პატარა ქვაბის ჩუხჩუხში ამდენი პოეზია და სილამაზე იყო დაფარული. გერასიმე გამოცდილი მეზღვაურის სიდინჯით ფლობდა გრძელ ტარიან ხის კოვზს და ხელოვნურად ურევდა ქვაბს.

— უმთავრესი საქმე ისაა, არ მოგვეხრაკოს, შინიშნა მან და სწრაფად მოტრიალდა ჩესმკენ.

— მე მგონია ყაურმას ბრინჯი სჭირია.

— ბრინჯი? ბრინჯი აუცილებლათ უნდა. ფლავსაც უშვებიან ბრინჯს, არა თუ ყაურმას. შევნიშნე მე.

— მაშ, „გასწი გაფრინდი ჩემო მერანო“ მოსით ხო არ მობრძანდება ჩვენთან ბ ნი ბრინჯი.

— რამდენი გვეყოფა.

— ორი იკმარებს

— ბრინჯი ვგონებ იზრდება.

— იზრდება მაშ ზეციდან კი არ ჩამოდის.

— არა, მატულობს, ღვივდება.

— რას ამბობ კაცო, ვერ გავიგე.

— რას ვამბობ და რაზნაბუხაეტსა. ერთი გირვანქა ორათ გადაიქცევა. მე მგონია ერთიც იკმარებს.

— კარგი, ერთი იყოს.

რადგან დაყოვნება აღარ შეიძლებოდა გირვანქა ბრინჯი დაურჩევლად ჩავყარეთ და მხოლოდ მაშინ გაგვახსენდა, რომ ბრინჯთან ერბოც აუცილებელია.

— ის ყაურმა რაღა ყაურმა იქნება, თუ ერბო საკმარად არა აქვს. წარმოსთქვა გერასიმემ და ორჯერაც არ მობრუნებულა სამზარეულოში, რომ მე გირვანქა ერბო გავაჩინე და მისი მოწყალე ნებართვით ნახევარი ქვაბში ჩავდევი.

— პამადორ, სვეჟი კარტოფელ, გურული ლობიო, გურული ლობიო!

მოულოდნელათ დაიღრიალა ეზოში კალათებით შეიარაღებულმა უცნობმა და გერასიმე ლრმა ფიქრებიდან გამოიყვანა.

ჩვენ მყისვე ვიყიდეთ თითო გირვანქა: ლობიო, პომიდორი და კართოფილი. დავჭერით და ქვაბში ჩავყარეთ.

— აი ნამდვილი ყაურმა ახლა გამოვა. გულდამშვიდებით წარმოსთქვა გერასიმემ და ქვაბს ცეცხლი შეუმატა.

— კაცო, საჭმელს გასინჯვა უნდა, ვინ იცის რა სჭარბობს, რა აკლია. ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ ხელობა ხომ თავისას მოითხოვს.

— ვიცი, ვიცი. ყველაფერს თავისი დრო აქვს და თუმცა უკვე დრო იყო, მაგრამ ავტორიტეტის შესანარჩუნებლად გერასიმემ კიდევ რამოდენიმე ხანი იცადა, ვიდრე შავი ფერის წვენს გასინჯავდა.

თუნდ ერთი სიტყვაც არ ეთქო, მე ისეც მივხვდი ყაურმას სიმჟავე და სიმწარე სჭარბობდა, ვინაიდან ენის დაწებისთანავე გერასიმეს სახეზე აღმაშფოთებილი ხაზები დაიკლაკნა.

— ძლიერ მჟავეა და სიმწარეც დაჰკრავს.

— ჩავუძახოთ რამოდენიმე კვერცხს. ახლავ გავაჩენ და ათი კვერცხით ხელში უცებ დავბრუნდი.

— მეორეთ გასინჯვამ აშკარა ჰყო, რომ კვერცხით მიზანს ვერ მივაღწიეთ.

— აბა როგორ შეიძლება კვერცხმა სიმჟავე, ან სიმწარე დაუკარგოს! შენი ბრალია; მისაყვედურა გერასიმემ.

— მაშ შაქარი ვუქნათ. ვურჩიე ნდობის აღსადგენათ და ერთი გირვანქა შაქარი ქვაბში ჩავყარეთ. ვინ იცის, იქნებ კიდევ გაგვხსენებოდა რაიმე საჭირო სანოვაგე, მაგრამ ქვაბი უკვე აივსო და ველოდეთ დადუღებას.

გაზეთი ორივეს გვიყვარს და თავისუფალი დრო კითხვით მოვკალით. ძნელი სათქმელია რამდენ ხანს ვკითხულობდით, ვიდრე უჩვეულო სუნმა არ გამოგვაღვიძა. სამზარეულოში დამწვარი მატყლის სუნი იდგა. ქვაბი მყისვე მეორე ოთახში გამოვიტანეთ.

საღამოს ექვსი საათი იყო, როცა სადილათ დავსხედით. ყაურმა ჩინებული გამოდგა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ ლობიოს ხარშვა არა ჰკლებოდა, ხორცს ხრაკის სუნი არ ჰქონოდა, მარილი სამი მეოთხედით ნაკლები გვექნა, ხოლო ძმარსა, პილპილსა და შაქარზე ხელი სრულიად აგვეღო.

მეორე დილით გერასიმე სამსახურში აღარ წასულა; ვინაიდან თავს შეუძლოთა გრძნობდა, და მთელი დღე ერთმანეთს ვეკამათებოდით თავ-თავის საწოლიდან ყაურმის შემზადების კანონებზე.

სანუგეშოთ მხოლოდ ისა გვაქვს, რომ სადილ[ი] სულ რაღაც 4 მანეთი და 3 კაპიკი დაგვიჯდა (და ოთხი წილი მოგვრჩა.

ზოგი ყაურმა გერმანიაშიც მოიკითხე!

ეშმაკი.



# ხელოვნება

მხოლოდ მას შემდეგ, რაკი „ხელოვანთა“ საზოგადოების წევრი გავხდი, ერთგულათ მოვეკიდე ჩვენი ხელოვნების შესწავლას და რა ვნახე?!

— ვნახე გულის გამხარებელი და იმედის აღმძვრელი სანახაობა! მივდივარ, მივდივართ წინ!

ძველი ამბები ყველა თქვენგანმა იცის, ვილაპარაკოთ ახალზე. სწორეთ შვიდშაბათს, საღამოს ცამეტ საათზე, შემოვიდა ჩვენს რედაქციაში (კუპრიელის ქუჩა № $^4/_{27}$) ახგლგაზრდა მომღერალი, ამომავალი მთვარე ჩვენი სამეჯლიშო დილა-საღამოებისა, ბ-ნი შარაშიძე*). კარებში პურ-მარილით (და არა მათრახით, როგორც ეს ხალხში გაავრცელე[ს]) მას მიეგება ჩვენი მხცოვანი მოღვაწე ბ-ნი ეშმაკი, მოწიწებით თაყვანი სცა და სკამიც შესთავაზა.

— ჩვენი რედაქცია უზომო სიხარულსა და აღტაცებას გამოსთქვამს დიდებული სტუმრის მობრძანების გამო...

— ბულბულს არაკებით არა ჰკვებავენ! — შესანიშნავი მოუხეშავი ტენორ-ბარიტონით დაიგუგუნა ჩვენმა ამომავალმა მზემ.

ეშმაკს კინაღამ გული შეუწუხდა, ვინაიდან სუსტი გულის პატრონია. როცა გონს მოვიდა ღრმათ ჩაუფიქრდა დიდებულ სიტყვებს, მაგრამ მაინც ვერ გამოარკვია, თუ რომელ ბულბულზე იყო ლაპარაკი.

— ვისზე ინებებთ ბრძანებას, ჩვენო სიამაყე!

*) ამ გვარის მართლ-წერის შესახებ ჯერ კიდევ დიდი კამათია ჩვენს პრესაში. თვით მომღერალი მომხრეა დაიწეროს იგი აფხაზური გამოთქმით (შერვაშიძე), მაგრამ გური[ა] არ აწებებს.

მორიელი.

—ჩვეულებრივის კრძალვით შეეკითხა მოხუცი ქართული ოპერის ამომავალ ვარსკვლავს.

— ვისზე ითქმება? ცხადია ჩემზე ვამბობ!—უფრო მაღალი ბანით უპასუხა ჩვენმა ამომავალმა განთიადმა.

— კაცი მოვხუცდი და ასეთი ხმის ბულბული ჯერ არა თუ მინახავს, არც გამიგონია.

— შემდეგში გაიგონებთ. ახლა უმჯობესია საქმეს დავუბრუნდეთ.

— ინებეთ.

— მე პირდაპირ მიყვარს ლაპარაკი. ქალაქ ბულაჩაურში ვმართავ კონცერტსა. საჭიროა ქართველმა ხალხმა დაბოლოს მოისმინოს ერთი რიგიანი ხმა.

— ჩინებული განზრახვაა.

— ეგ მეც ვიცი. თქვენი რედაქციის საქმეა მატერიალური დახმარება.

— დიდის სიამოვნებით. ინებეთ რამდენიმე ცალი ძველი ნომერი „ეშმაკის მათრახისა“.

— სახუმარო ლაპარაკში ხმას ვერ გავიფუჭებ და არცა მცალია. მომეცით გზის ფული. ბევრი არ მჭირია, 25 მანეთი იკმარებს.

ეშმაკმა მყისვე გამოსწია უჯრა, ამოიღო და გადასცა ხელოვანს ყალბი 25 მანეთიანი. ჩვენი ამომავალი ცისარტყელა სრულიად დამშვიდდა. გაიმართა მეგობრული ბაასი.

— არ იფიქროთ, მეგობარო, მარტო თქვენ გაწუხებდეთ.

— აბა რასა ბრძანებთ,—მიუგო ეშმაკმა,— ჩვენ მზათა ვართ ჩვენი ხელოვნების ამომავალ ელვასა და ჭექა-ქუხილს მუდამ ხელი გავუწოდოთ. ეს ჩვენი ეროვნული...

— ნუ იტყვით, ნუ იტყვით. ეს მხარე აქ მოსატანი არ არის.

— რომელი მხარე?

— ეროვნული და სხვა ამგვარები.

— ვერ დაგიჯერებთ. არა მგონია თქვენი ნიჭის აყვავებას უცხო ხალხმა ხელი შეუწყოს.

— შემცდარი ბრძანდებით. გუშინ წინ მე ალ. ივ. ხატისთოვთან ვიყავი. ფული ვთხოვე. სიხარულით ცას გამოეკრა. სახეზე ალმური გადაჰკრა, ჭარხალივით გაწითლდა. ამოიღო და 25 მანეთი მაჩუქა!—დიდათ გმადლობთ, რომ თქვენი ნახვის ღირსი გამხადეთო—აი ასე გამომესალმა.

— რაო? 25 მანეთი გაჩუქა?

— დიახ, სიხარულით მაჩუქა. მითხრა—მოხარული ვარ ასეთ სასახელო გზაზე შემდგარხართო.

— რომელ გზას გულისხმობდა თუ იცი?

— ცხადია ხელოვნების სამსახურს.

— ალ. ივანიჩი თავაზიანი კაცია. განა ქართველებმა გველი შეგიწვეს, რომ გარეშე ხალხს აწუხებ და იმათ კი აღარ კადრულობ?

— აბა რა სათქმელია! ქართველებს რას გავუშვებდი. ქ-ნ ნ. ბ. ყიფიანისას უკვე გამოვართვი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდა მოხუცს ჩემი მისვლა,—მე თითონ უნდა მომეტანა, მაგრამ მაპატიეთ ავათ ვარ, ლოგინში ვწევარო,—მეც რასაკვირველია ვაპატიე.

— კარგია! თავის გაყადრებას და გულ-ჩვილობას ყოველთვის დაგიფასებს ქართველი საზოგადოება.

— კოტია აფხაზი (ვგონებ მარშალია) ეტლიდან ჩამოხტა, როცა ბელინსკის ქუჩაზე დეპუტატთა საკრებულოს კარებთან დამინახა. მოვიდა, მხრებზე ხელი დამკრა და მითხრა: თვალებზე გეტყობ ხელის ჭუჭყი გაკლია. აჰა, წაიღე და წადი სოფლებში; შეაგნებინე ჩვენს გლეხ-კაცობას უმაღლესი ხელოვნების მშვენიერებაო.

— თათრებთან არ მისულხარ!

— დღეს ვიყავი „საადრესო სახლში“. წამოვიღე რამოდენიმე მდიდრის მისამართი.

— თურქები განთქმული არიან ქველმოქმედებით.

— განთქმულიც არ იყოს, ხელოვნებისთვის ვინ რას დაზოგავს. უკაცრავად, თქვენთან მუსაიფი კარგია, მაგრამ უნდა წავიდე. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია დამრჩა, უნდა იქაც შევიარო.

— მშვიდობით გნახეთ. ნუ დაგვივიწყებთ.

ჩვენი ამომავალი სეტყვა გავიდა რედაქციიდან და კარებში ორჯერ ჩაახველა*).

**მორიელი.**



*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ბეჭდავს ამ პრინციპიალურ შინ არსის წერილს, თუმცა ზოგიერთ კითხვებში არ ეთანხმება პატივცემულ ავტორს.

# ნეიტრალიტეტი

პატივცემულო რედაქტორო! ჩვენს ცხოვრებას, დღეს-დღეობით, გარდამავალი ხანა უდგას. ჩვენი ძველი ზნე-ჩვეულებანი თვალსაჩინო ცვლილებას განიცდიან: აღარ არის არც ძველებური ქორწილი, არც ტირილი, არც საკურთხი და არც მრავალი სხვა ადათ წესები.

ამჟამად მსურს თქვენი ყურადღება ტირილზე შევაჩერო. მრავალი დადგენილებანი გამოიტანეს სოფლის საზოგადოებებმა მისი მოსპობისა თუ დატოვების შესახებ, მაგრამ გადაწყვეტით ჯერ არაფერი გაკეთებულა. დღეს საქმე ასეა:

ა) ერთი ნაწილი საზოგადოებისა კვალად ძველ ადათს მისდევს. მიცვალებულის დაკრძალვის დღეს უზომო ხარჯს ეწევა და უმასპინძლდება მოპატიჟებულსა და თავისი სურვილით მოსულ ხალხს. ეს მასპინძლობა ვალათ ედება ოჯახს და აქვეითებს მას ეკონომიურათ.

ბ) მეორე ნაწილმა უკვე უარჰყო ძველებური ადაპი. მიცვალებულს უხარჯოთ ასაფლავებს, ხოლო ნაწილს მოსალოდნელი ხარჯებისას, ვისაც როგორ მოესურვება, განსვენებულის პატივსაცემლად, სწირავენ რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულებას.

ამ წინაზე ჩვენს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს გარდაეცვალა მოხუცი მამა, მღვდელი გაბრიელი. ლანჩხუთის საზოგადოება დანაძლავებულთ დაემსგავსა. ძველი წესების მომხრენი დიდსა და უხვ აღაპს მოელოდენ, ხოლო ახალის მიმდევარნი აგრეთვე დიდსა და უხვ შესაწირავს რაიმე დაწესებულების სასარგებლოთ.

პირველ კატეგორიას იმედი მალე გაუცრუვდა, ვინაიდან დაკრძალვის დღეს არავითარი სანოვაგური ხარჯი არ გაწეულა და ამ გარემოებამ ბევრს მართლ-მორწმუნე ლანჩხუთელს დასწყვიტა გული.

მეორე პარტია იმედს დიდხანს ატარებდა გულში, ვინაიდან ქველმოქმედებისათვის „გვიან“ არასოდეს არ ითქმის, მაგრამ ამ ბოლო დროს, ომის შესახებ დაწერილმა წერილებმა გამოარკვიეს, რომ შეიძლება კაცმა ნეიტრალიტეტი დაიჭიროს და რომ ეს ნეიტრალიტეტი ყოველთვის უფრო სასარგებლოა.

გამოირკვა, რომ ბ-ნი. ფ. გოგიჩაიშვილი, როგორც რეალური პოლიტიკის მომხრე, ნეიტრალიტეტში დამდგარა: არც ძველებს, არც ახლებს!

ამიტომ მე, და ჩემთან ერთად მთელი ჯგუფი ახალგაზრდობისა გთხოვთ ბატონო რედაქტორო გამოსთქვათ თქვენი კომპეტენტური აზრი შემდეგ კითხვაზე: 1) რომელ მიმართულებას უნდა დაადგეს ხალხი ა) ქელეხ-ქეიფისას? ბ) ქველმოქმედებისას? გ) თუ ნეიტრალურს?

ველით გარკვეულსა და დასაბუთებულ პასუხს.

მონდობილებით*)

მათე ფხუკიანიძე.



# გასპარას ჩივილი

(სცენა ქიათურისათვის)

ღმერთმა ააშენოს ამ ვაინის მამგონი. პირდაპირ ქერის ორმოში ჩავვარდი რაღა! საითაც გაიხედავ, ძრევი, კრუგომ ფულები მცვივა. ქვეყანა არეულ-დომხალივით და მეც ეხლა მაქვს დრო, თორემ თუ ეხლა ხახა დავაღე და ბუზები ვყლაპე, მერე ვინ რას მამცემს! იძახიან:-„გასპარამ ქვეყანა დაატყავა!“ ვა, დაატყავა რომელია! არა, მამა უცხონდებათ მამ მუქთად მივართმევ, არ უნდათ!! ვშრომობ, ძმაო, ვწვალობ და კიდევაც ვიღებ, ორი კვირა ქატოს და ტალახს რომ ვყიდდი პურის მაგივრათ, განა ადვილი საქმე გგონიათ! იცით რამდენჯერ ვიბანავე შიშისა და ჭირის ოფლში! რამდენ ურიას უნდოდა თეთრი ფქვილის შამოტანა ქიათურაში, მაგრამ მე ისე მოვაჭახრაკე საქმე, რომ არავინ გავაჭაჭანე. როგორ, თქვენ ამას არაფრათ აგდებთ! პრისტავი, აქციზლოშნიკი, ბაზრის დეპუტატები და მთელი ობჩესტვა კანტროლს მიწევდა, მაგრამ ყველას თვალები აუხვიე. ხუმრობა ხომ არ არის, ამოტოლა მაგ ფქვილი გასასაღებელი მქონდა, ხომ არ გადავყირავდი!! არა, უდივიტელნი ის იყო პრისტავმა რომ მითხრა: „თეთრი ფქვილი ვიშოვე ასი მეშოკი, წაღ

*) ,,ეშმაკის მათრახის'' რედაქცია ახლო მომავალში მოათავსებს ამ საგანზე ვრცელსა და ღრმათ ნააზრევ მოწინავეს. იქონიეთ მოთმინება.

ყვირილაში და მოიტანეო!“. არა, მეც რა მამა აბრამის ბატკანი მნახა! თეთრი ფქვილი მოვიტანო და ამოტოლა საქონელი წყალში გადავაყუდო! არა, ეგრე არა სწირავს ჩვენი ტერ-მიკირტიჩა! ხელათ ავანტყოფობა მოვიგონე. ჩავწექი ლოგინში, მოვისვი ჩემი დედაკაცი, ვაკვრევინე გიტარა და მეც ეშხზე მოსული ალიფონცკის შიქასტა-ბაიათებს ვეებნებოდი. ვინ მოვა ჩემ ოხტში, ვინა! პრისტავი კი არა, რომ მოვინდომო ანგელოსებს ტარტაროზისთვის სანთლებს დავანთებინებ. არა, დიდი ჟულიკი კი ვარ აი! იაფ-ფასში ნაყიდ ფქვილს ფოთში ვაჩერებ ვაგონებით და პრისტავ ვეუბნები: რა ვქნა, გოსპოდინ პრისტავ, ხელს არ მაძლევს დღევანდელ ტაქციაში რომ გავყიდო მეთქი. ისიც ხედამს ფქვილი არ მოდის და ტყუილდება. ამბობს: „კაცი გათეთრებულა, ცალი ფეხი სამარეში უდგას და ნეუჟელი ტყუილს იტყვისო!“ უმატებს ტაქციას და ჩემი ვაგონებიც მამენტალნათ მორახრახობენ ჭიათურაში. ძალიან დავერიას კი მიკეთებს ეს სიბერე და თეთრი თმა აი! ერთი ნესჩასტია მხოლოთ ის არის რომ ჩემ დედაკაცს აღარ მოვწონვარ. იძახის: „დაბერდი და აღარაფერი შაგიძლიაო“. შამიძლიან კი არა, არშიყობის გუნებაზე სწორეთ ახლა ვარ, მაგრამ ხათა ის არის, რომ დრო სავსებ აღარა მაქვს რაღა! მე სულ ამ ტაქციასა და ფქვილებს ჩავჩიჩინებ და ვეღარ მოვიცალე, რომ ხან და ხან ჩემი სიჯეილე მოვიგონო და ხელი მოუცაცუნო ჩემს დედაკაცს. მერე რა ადამიანია ის წყეული ისა! არა, ჩიხტა-კოპით გამოპყრანჭული რომ ჩამამიქროლებს, უნდა ნახოთ თუ როგორა მწვავს და მხრუკავს! ამოტელა მუშტარი მასევია და იმას რომ დავინახამ, იმ შეითანს იმასა, ისე ვიბნევი, რომ გირვანქის ადგილას სამ ჩეთვერს უწონი მუშტარს. არა, კარგია, კარგი, ის წყეული ისა! სულ უხინჯო და უნაკლულო დედაკაცი, მაგრამ ერთი წუნი ისა აქვს, რომ უნასლედნიკოთ დამაბერა კაცი. ვა, მე შავხაროდი, ვამბობდი, ერთი ნასლედნიკი მეყოლება მეთქი, მაგრამ რომ არ იქნა! მერე, რა პადგატავლენიაში ვიყავი, კაცო!? ქორწილი რომ ვქენი, მეორე დღესვე ვიყიდე აკვანი და ბიჭის შიბაქი, მაგრამ დღესაც ისევ უდეისტვიოთ მიკიდია. ახ, დაგელოცა ღმერთო სამართალი! ფული და ქონება ოხრათ მამეცი და ერთი ცინგლიანი ბიჭი შაგშურდა ჩემთვის, რომ სიკვდილის შემდეგ სანთლის დამრჭობი მყოლოდა ამ ქვეყანას. ეხ, ჩემი შრომა და მუშაობა სულ ტყუილია რაღა! აფსუსი არ არის, რომ მე მოვიგო და სხვამ კი ჭამოს! არა, სანამ ცოცხლი ვარ, მანამ თუ ვჭამ, სანამ ცოცხალი ვარ, მანამ თუ ავაძროვ ქონს ქვეყნიერებას, თორემ რომ მოვკვდები. მერე ყველა ფუჭია ჩემთვის. ისევ ეხლა უნდა გავატარო დრო, თორემ ისე აირია ქვეყანა, რომ ვინ იცის, რა მაელის!

მერე ეხლა, კრუგომ ჩხუბი,
ცეცხლის ალი დატრიალებს,
ზევით, ქვევით, წინ და უკან
ზარბაზნები დაგრიალებს!

გადირია ევროპია,
აიყარა ფაფა-ძუა,
ყველა ჩხუბობს: ქალი, კაცი,
ტერტერა და ტირაცუა!

ვინ იცის მეც წამამადგეს,
თავზე მიქელ-გაბრიელი
და ერთბაშათ გამამტაცოს
პირში ლუკმა გემრიელი.

აფსუსია ეს ქონება
გატილდეს, გამიოხრდეს,
ჩემი ქენა, ჩემი კუკლა
ბეზრემენათ დამიობლდეს.

არა, დუშკა, გენაცვალე,
ქონება გაქვს, მაიხმარე,
და შენს ქორფა გასპარასთან
იქეიფე, გაიხარე.

ნასლედნიკი ჩვენ არა გვყავს,
მაშ ამ ქვეყნად რაღა გვრჩება?
დაუაროთ კამარინცკი,
ამის მეტი რა შაგვრჩება!..

გოგია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ უ ზ ე ბ ი

(ფრანგულიდან)





პატარა ილიკო
ეშმაკი ბიჭია!..
აი... მან იხილა
მძინარე ბიძია...
ბუზები ეხვევა,—
ბუზები აწუხებს!
ფხაჭნიან, სწიწკნიან,
უყრიან მარწუხებს...

და ასეთ ყოფაში
რომ ნახა ბიძია,
ილიკომ ბუზებზე
მყის შური იძია!
მრავალგვარ ხერხებში
მიმართა ადვილსა
და თაფლი დაასხა
მან ტიტველ ადგილსა.





ილიკოს უნდოდა
ბუზები გაექრო
და მართლაც, შეხედეთ
ყველა ზედ დაეკრო.
— უყურეთ, არც ერთი
მას აღარ აწუხებს!
ბიძიკო ადგება...
კამფეტებს მაჩუქებს.

ილვიძებს ბიძია
და გახარებული
იძახის:—წამალი
ყოფილა ქებული
გუშინ რომ ვიყიდე
თმის გასაზრდელათა...
ვიხმარე... ქოჩორიც
გამიჩნდა ხელათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგაზეთო კარიკატურა



**პატარა საშიკო.** ნეტავი ძია რისთვის ცხარობდა: „სათავად-აზნაურო გიმნაზიაში დიდი **პანამა** აღმოაჩინესო“. განა ცუდია პანამა?

---

## ქალის საიდუმლო

(თანამედროვე არაკი)

იყო ქალი მოხდენილი,
შესახედათ მშვენიერი!
მას კბილები ბროლის ჰქონდა
და ტუჩები ლალისფერი.
შეუყვარდა იგი პეტრეს,
შეუყვარდა გაგიჟებით,—
მხოლოდ მითი სულდგმულობდა,
ეტრფოდა თავ-დავიწყებით...
შეუყვარდა იგივ ქალი
პავლეს, პეტრეს ნათესავსა,
იმის მზესა ფიცულობდა,
ივიწყებდა მისთვის თავსა.
და ორივე ცალკ-ცალკე ქალს
გულის ნადებს უამბობდენ,
თანაგრძნობის მოსაპოვად
აქებდენ და შეამკობდენ.
ერთხელ ქალმა უთხრა პეტრეს:
—მიყვარხარ და კარგი ხარო,
მაგრამ მიშლის ერთი რამე
სამუდამოთ გაგახარო!..
პავლე მეტრფის დღე და ღამე—
არ მაქვს მისგან მოსვენება,
თუ რომ იმას ჩამომაცლი,
ასრულდება შენი ნება,—
მე შენს მეტი ქვეყანაზე

სხვა არავინ მეყვარება,
შენ იქნები ჩემი ღმერთი,
საუკუნო ნეტარება.
და პავლეს კი უთხრა ასე:
—ჩემო თვალის სინათლეო,
ერთი თხოვნა ამისრულე —
გამახარე, მიმადლეო...
შენ მიყვარხარ ერთად ერთი
და პეტრე კი მიშლის ხელსო;
შენ თუ იმას ჩამომაცლი,
გადაგიხვევ ბროლის ყელსო,
შენ იქნები ჩემი ყველა,
ჩემი მთვარე, ჩემი მზეო!
წუთითაც არ მოგცილდები,
ვიქნები შენს ქეიფზეო...
და ამ გვარათ პეტრემ —პავლე
შეიძულა, მტრად ჩასთვალა,
და მიზეზის მოსანახად
უკან სდია—-უთვალთვალა.
პავლემ პეტრეს სიძულვილი
გულში მტკიცედ ჩაისახა,
რადაც უნდა დასჯდომოდა,
მის მოსპობა განიზრახა,
მაგრამ პეტრემ მას დაასწრო
ტყვიით გული გაუგმირა,
საიქიოს გაისტუმრა,
საწყალს დედა აუტირა,
მაგრამ მასაც არ მიერგო
თვით პავლეზე კარგი ბედი,
კატორღაში გაამგზავრეს
ბორკილებით განაჭედი.
ქალსაც თურმე ეს უნდოდა,
სწორეთ ასე მომხდარიყო,
რომ უმათოდ, არხეინად
ლუკას ტრფობით დამტკბარიყო.

მ. ველისციხელი.

# კვიმატი დღე თუ ბებია ჩემის ანდერძი

— თუ ჩემი სიყვარული გაქვს და შენი თავისთვის სიკეთე გინდა კვიმატ დღეს (ორშაბათ-პარასკევს) არც არა იყიდო-რა, არც იმგზავრო და არც თავი დაიბანოო.—დამიბარა ნეტარხსენებულმა ბებია ჩემმა დარეჯანმა და განუტევა მრავალტანჯული სული.

რამდენადაც ვცდილობდი ანდერძის შესრულებას, იმდენი დაბრკოლება! თუ დავაპირებდი სადმე გამგზავრებას ან ყიდვას, ან თავის დაბანას, ეს დღე უსათუოთ ან პარასკევი უნდა ყოფილიყო და არც მახსოვს, რომ ამ დღეებში რამის ყიდვა, მგზავრობა, ან და თავის დაბანა უფათერაკოთ გათავებულიყოს.

ასე მოხდა წარსულ ორშაბათსაც. გინდა თუ არა, მაინცა და მაინც დღეს უნდა დაიბანო თავი, ამეკვიატა დედაკაცი...

არ მიშველა არავითარმა ხვეწნა-მუდარამ, სანამ მდუღარეში არ ამომფუფქა.

ჯერ თავის ბანა მოთავებულიც არ მქონდა, ისე ავათ შევიქენ, რომ საჭირო შეიქნა ექიმის მოწვევა. აცნობეს მეთორმეტე განყოფილების ექიმს და სთხოვდენ პირველი მატარებელით ჩამოსულიყო, მაგრამ ჭირმა არ შეგჭამოთ იმას თავი არ შეეწუხებიოს ჩამოსვლით. არა თუ იმ დღეს, არც მეორე მესამე და მეოთხე დღეს, ხოლო მეხუთე დღეს მე თვითონ ჩავლღდი მასთან.

— რა დაგემართათ? რა არის თქვენი ავათმყოფობის მიზეზი,—შემეკითხა ექიმი..

— არ ვიცი, ორშაბათს თავი დავიბანე და მგონია...

— კვიმატ დღეს თავის დაბანა, ან სადმე მგზავრობა, აბა სად გაგონილა!—გამაწყვეტინა გაოცებულმა ექიმმა და სამსახურის შესრულებიდან ხუთი დღით გამანთავისუფლა...

მინდოდა რამე წამალი მეთხოვა, მაგრამ მომაგონდა თუ არა, რომ ჩვენ აფთიაქში უფრო ბედნიერ დროს არ იშოვებოდა საჭირო წამლები, შემრცხვა და გავიხურე კარი.

ხუთი დღის თავისუფლება და სამგზავრო ბილეთი მაქვს, მოდი ერთი ფეხსაცმელებს ვიყიდი და ქუთაისში წავალ, გავივლე გულში და გამახსენდა, რომ დღეს, სწორეთ პარასკევ დილაა, არ დავიშალე. გოლოვინის პროსპექტზე, ქუჩის მეორე მხარეს დავინახე ნაცნობ ვაჭრის ფეხსაცმელების მიღაზია და მივაშურე.

ის იყო ტროტუარზე ფეხი უნდა შემედგა, რომ რაღაც უხილავი ისეთი სიძლიერით დამეჯახა, რომ სამჯერ თუ ოთხჯერ (აღარ მახსოვს) პირუკულმა გადავტრიალდი... სამ წუთს ვიყავი პირქვე დამხ-

ბილი, მაგრამ რადგან ალარავინ შეიწუხა თავი ჩემთან მოსვლით, მე თვითონ ვიკადრე ზეზე წამოდგომა.

ჩემ შეკითხვაზე, თუ რა იყო რომ დამეჯახა, იქვე მდგომმა დვორნიკმა მიპასუხა.

— თქვენ დაგეჯახათ კი არა, თქვენ თვითონ დაეჯახეთ ავტომობილსო.

— ვაი თუ პასუხი მაგებინონ, იქნება ავტომობილი დავაზიანე მეთქი გამიელვა თავში და სწრაფად შეუხვიე მალაზიაში.

ნაცნობმა ვაჭარმა სავსებით დაამტკიცა ნაცნობ-მეგობრობა და ფეხსაცმელებში 29 მან. გადამახდევია.

რკინის გზის სამმართველოს რომ გმუსწორდი დავინახე:

ერთ-ერთ კუთხეში თავი მოეყარათ ყვირილა სვირის-რიონის და სხვა მრავალ დათხოვილ სადგურის უფროსებს, რიცხვით 13 კაცს და თვალებიდან კურცხალებს ჰყრიდენ.

მინდოდა გადავსულიყავ და მეთქვა: „კერძოთ მე და საერთოთ მთელი გზის მოსამსახურეებს ღრმად გვწამს თქვენი უმანკოება და „იმასქნაში“ უდანაშაულობა-თქო“, მაგრამ იმ წყეულ ავტომობილების გადამკიდე ფეხს გადადგამ კაცი სადმე?!?

— „შე უსინდისო არა გრცხვენია რომ ასეთ საქმეს კადრულობო?“ მომესმა ხმა როდესაც მატარებელი დაიძრა.

— უსინდისო და უნამუსო თვითონ შენა ხარ, თუ ახლა გაიგე რომ მე უსინდისო ვარ. - იყო პასუხი რკინის გზაში კარგად ცნობილ პაპულია ო—ა.

ამ სიტყვებისთვის მე მაინცა და მაინც დიდი ყურადღება არ არ მიმიქცევია რადგან ბ. პაპულიას თითქმის მეც ისე ვიცნობ და შეუდექი ადგილის ძებნას.

ის იყო ჩავთვლიმე კიდეც რომ, ვიღაცამ მკლავში მაგრათ ხელი ჩამჭიდა და „ზრდილობიანათ“ შემანჯღრია.

— ნუ თუ კიდევ ავტომობილს დავეჯახე? ვფიქრობდი მე და არ გავახილე თვალები, სანამ ერთი მუჯლუგუნიც არ მომხვდა.

— ნუ თუ არ შეგიძლიათ უფრო ზრდილობით მოეპყრათ მგზავრებს, შევნიშნე კონდუქტორ ქორიძეს, რომელიც სულთამხულავივით დამდგომოდა თავს და ბილეთი გაუწოდე.

— „პოდუმაეშ ცაცა კაკაია, ტუტ პასაჟირამ ნეგდე სიდეტ, ა ონ რაზლაჟილსა კაკ კაკოი ნიბუდ ბარინ-ბარინიკ“ დაცინვით მიპასუხა ქორიძემ და ბილეთი გადმომიგდო.

დავჩუმდი... ხომ მოგეხსენებათ: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“ მით უფრო, რომ ქორიძე მართალი იყო როდესაც ამბობდა: „პასაჟირამ ნეგდე სიდეტო“ რადგან მართლაც რამოდენიმე მგზავრი სკამეიკების ქვეშ შემძვრალიყო.

ის იყო თვალი მივლულე, რომ ჩემს ქვემოთ ადგილი დაიკავა სად. მუხიანის უფროსმა და თავის თანამგზავრს შემდეგის სიტყვებით მიმართა:

— გასკდები კაცი გულზე. აბა რა ჯანაბა დაგემართება, მოსვლისთანავე ოტპრავიტელებს გამოუცხადე: ამიერიდან მანეთის ნაცვლათ 19 შაურს გადით დუბლიკატზე თქო, ეს სამსახურში, ახლა სამსახურს გარეშე არ იკითხავ მოღვაწეობას? სამკითხველო, რომლის გამგეობის თავმჯდომარეთ ჩემი ოჯახობაა ხომ ფეხზე დავაყენე. ჩვენამდე თუ იქ „თან. აზრის“ მეტ გაზეთს ვერ იხილავდი ახლა „მეგობარ-ზვირთ-სახალხო ფთრცლებით“, ავავსეთ. ჰო და ყოველივე ამის შემდეგ გამომდგარა ეს უმადური და უზრდელი ხალხი და გაზეთით ბრალდებას მიყენებს: ვაგონებზე ხუთ თუმანს გვთხოვსო.

განა შადბეროვი*) ნაკლებს იღებდა, რომ გაზეთში იმაზე კრინტიც არავის დაუძრავს. მარა ეს კარგად დაიხსომე ჩემო კიმოთე ის შადბერიანცია, მე კი ციციშვილი.

— რავა ის ხუთიოდე ქცევა ვენახი არჩენს ჩემს ცოლ-შვილს?? ან და თუ გინდა მიხაილოვის მამული?

— აბა რას გიზამს ეს მცირე შემოსავალი ჩემო სპირიდონ. ეხ... ეხ რა ცუდი დრო დაგვიდგა, —კვნესით მიუგო თანამგზავრმა და ზეზე წამოდგა. მატარებელი გაჩერდა და დასტოვეს ვაგონი.

ქუთაისის სადგურში ნაყეყი გვერდი ამ[...]კივდა. ეტლით წასვლა დავაპირე, მაგრამ არც ერთი მეეტლე არ დამთანხმდა, როდესაც გაიგეს რომ მე**) მწვანე ყვავილაში მივემგზავრებოდი.

— „თავი და ცხენები კი არ მომბეზრებიაო“

---

*) შაკარლის სად. უფროსის.

**) ნაწილს ქალაქისას პოლიციის ქუჩიდგან დაწყეზულს გელათის ქუჩის გასათავრამდე მწვანე ყვავილას ეძახიან.

რატომ, ამაზე ქუთაისის თვითმართველობამ გიპასუხოს.

ფეხით წაველი; გზაში გადავწყვიტე ბ. ხეჩინოვს ვჩვენებოდი; გავიარე უხიფათოთ ქალაქის ბაღი, მწვანე ბაზარი და გავუსწორდი თუ არა კოკოჩევის აფთიაქს, იქვე მდგომ ახალგაზდას შევეკითხე:

—მეგობარო ხეჩინოვი ამ სახლში დგას? უცნობმა ამათვალიერ ჩამათვალიერა შემდეგ ვიღაცას რაღაცა ანიშნა და მიბრძანა, წინ გამიძეხ და „იქ“ გეტყვით სადაც ცხოვრობს.

„იქ“ რაც მითხრეს ამას მკითხველიც მიხვდება. მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ სანამ დავამტკიცებდი ვინ ვიყავი და რისთვის ვიკითხე ექიმი ჩემ თავისუფლებასაც ვადა გაუვიდა და „იქიდან“ პირდაპირ აქეთკენ გამოვეშურე, იმდენი დროც აღარ მქონდა რომ სახლში შემევლო.

არ ვიცი ღმერთმანი, მართლა კვიმატი დღეა მიზეზი, თუ ეს შემთხვევის ბრალია?

კ. მწვანეყვავილელი.

## ყველაფერს მიესრება კაცი

(გურული სცენა)

არა, ყოლიფერს ვიფიქრებდი. ქვეყნის დაქცევასაც, ქე იქცევა მაინც, მარა, მე თუ პრაპორჩიკი შევიქნებოდი, აგი რავა მომივიდოდა თავში! პრიხოდის კლასი ძულათაი გავათავე. ხუთჯერ ამახლიჩა ყური ჩემმა უჩიტელმა. აბა ბეზაბედას ნუღარ იტყვი. გავათავე რავარც იქნა, მარა ვაი იმფერ გათავებას.

დღეს შევხედოთ პრაპორჩიკი გახლავარ გამომოსკვინჩული. ქე ვიცი, გაგიკვირდებიან, რაფერ ქენი მერე აგიო. დასწყევლოს ღმერთმა, ქალი თურმე ყოლიფერს აქნიებს კაცს. ვაინობას რავარც იქნა გადავრჩი, დამბრაკეს, თლად „ნეგოდნათ“ ჩამწერეს... დეიწყო ვაინა და გეიჟუჟა თლად აი ყმაწვილები, დალაგდა ოხრათ ბარიშნები. ვიფიქრე: ახლა კი გეშველა ბიჭო, ესიკელა, თუ ვითხუე ქალი ახლა, თვარა მერე, ვაინი რომ გათავდება, რავარც უწინ არაკაცი გაქცევდა ყურადღებას, არც მერე შეგხედავს მეთქინ. მარა, ახლა, ვაგლახათ კი არ დუუწყე ქალს რჩევა; გამუარჩიე კაი გამოპიწკინებული ჩვენი სოფლის ბარიშნა, გოგიეს მარიკელე და დუუწყე თვალების შტიმვა, ფონცქობა, არშიყობა. ბოლოს ქე უთხარი:

— მარიკავ, ციცავ, რალა [illegible], [illegible]კნო, რომ მიყვარხარ, ამას შენც ქე მატყობ და ქე წამომყევი, ამ მჭადს და ლობიას ქე გაჭუმ და ადესაის ღვინოს გადაგაკვრიებ, სხვაი რა გინდა მეთქინ.

—უი, შენ კი გაგაცივა სასიკვტილოთ, დეიღუპე აქედან შენ უშნოვ!?

— რა გინდა, ციცავ, რავა, მე თუ სუტენტი არ ვარ, არც შენ ხარ კურსისტკა! აბა სხვაი, რა გინდა. რუსული შენ თუ იცი, მეც კი ვიცი.

— არა, ძამიავ, (ძამიაო, რომ გევიგონე, მევიშალე კონდახში), თუ ჩემი სიყვარული და ქმრობა გინდა პრაპორჩიკების კლასში შედი და პრაპორჩიკი რომ იქნები, მერე ქე წაგყობი.

— აგი რა მითხარი ციცავ, მარიკა! პრაპორჩიკის კლასში მე ვინ მიმიღებს, ინჩი არ ვიცი;—მე გასწავლი კაცს მოგამზადებს იგი და ქე მიგიღებენ, ერთი ძველი ცხაკაიაა იგი ამზადებს შენისთანებს. შენ ოცი თუმანი მოამზადე.

— კაი, ახლა, მარიკა ნუ მახლაფორთებ კაცს, რავა შენ, პრაპორჩიკიც რომ არ ვიყო, ისეც ქე შეგინახავ.

— რო გეუბნები, ასეა აგი. თუ გინდა ჩემი სიყვარული და შერთვა პრაპორჩიკი უნდა გახდე..

შემატყო შეჩვენებულმა, რომ მისმა სიყვარულმა ამხრუკა, ჭაჭაში მომიკიდა ცეცხლი და მიშონა ყელი.

— აბა, კაი, რაც იქნება ვიზამ მაგას, შენ კი არ დამღუპო, სხვას არ მისცე სიტყვა.

— არა, თუ კი რამეს იზამ მეც შეგიწყობ ხელს.

პაწაი, შევატყვე, მასაც ქე ვეჭაშნიკე გუნებაში. გევიქეცი შინ, ვუთხარი ბაბას ყოლიფერი... კალამ მომკლა. — რამ გადაგრია ბიჭო, რა გაგიჭირდა, სიკვტილში რეიზა არჭობ თავსო. გუუმხილე ყოლიფერი, ვუთხარი, თუ აგი არ ვქენი, სულ ერთია, აქანე მევიკლავ თავს მეთქი. — რაღას იზამდენ, უსაშველოთ გუუხადე საქმე... გავყიდე თუ რამე მომეძეოდა, ოთხფეხი, ორფეხი, არ გამიშვია აფერი, მუუყარე თავი ოც თუმანს და მიველი მარიკას ნასტავლებ კაცთან. გუუხარდა, მომეფერა, მომიცხაკუნა გვერდებში ხელი... მითხრა — ეგზამენს, ნუ გეშინია აუცილებლათ დაგაჭერინებ ყვირილაში, ან ჩოხატაურშიო.

— კი, მარა, რაფერ იქნება აგი, მე რომ ინჩი არ ვიცი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გენაღვლება შენ, ფული უნდა შენს მომზადებას, თვარა, სხვაი ჩემი საქმე იყოს.

— ფული აგერ მაქ ჰინჰიში გამოკრული.

— აბა, საქმე კარგათ ყოფილა, რაც გისწავლია კლასში იგი გეიმეორე, ცოტა მიუმატოთ და მეტი არ გინდა.

— რუსული ქე ვიცი, ხუთ წელიწადს ლაქიის პომოშნიკათ ვიყავი და ოთხ წელიწადს სტარში ლაქიათ.

— კარქი, კარქი, მხოლოდ ახლა წერა უნდა ისწავლო გრამატიკულათ.

მამზადა ერთ თვეს და წამიყვანა ჩოხატაურში. დამაწერიეს, რაცხა „ავტობიოგრაფია“ ყოფილა, მითხრეს, დაწერე ყოლიფერი შენს თავზე, რომ დეიბადე იქიდან. რუსული ქე ვიცოდი, მოვყევი პრიხოდის კლასიდან, დავწერე ყოლიფერი, იქინე რავა მანწვალებდა უჩიტელი, ყურს რუმ უშობოდა აპელაციას, მერე აბასტუმანში რომ ვიყავი ორ წელიწადს სოლომანე ჯაფარიძესან პომოშიკათ, მერე სტარში ლაქიათ, მერე..- კიდევ, რავიცი, რამდენი, ჩამოვწერე, ერთი ფურცელი ქახალდი თლად და შივეცი გასასწორებლათ. გაასწორეს და მითხრეს, ჩეიჭარი წერაში, აღარ გიზამთ მეტ ეგზამენსო. დემეცა მეხი თავში... რავა, რეიზა ჩამჭერით. მართალი რომ დავწერე, იმიზა მეთქინ. იმიზა კი არა, გრამატნათ არ იცი წერაო. რას ვიზამდი, მამზადა კიდომ იმ კაცმა, წამაცხაკუნა ქუთაისში, წამომიყვანა მერე კიდომ ჩოხატაურში. ახლა ქე ვიყავი კაი მომზადებული, წაგვიკითხეს რაცხა და დამაწერიეს· ქე დავწერე, აღარ ჩავჭრილვარ, არ ვიცი ჩევიჭერი, მარა ქე შევეცოდვე იმგენსაც. მერე მკითხეს უსტნი ეგზამენები:

მომცეს მოწმობა, და მოვკურცხლე უეზდნი პრისუსტვიაში. შეველი შით, შევიტანე პრაშენია,— რატომ მიხვალ ვაინაში, თუ არ გიწევსო, მკითხეს, ახოტა ესტ უ მენია, მეთქინ ჩუურუსულე. · გამხინჯეს, გააქან-გამოაქანეს თავი და თქვეს: „პრინიატ მოჟნა, ნო ტი ნემნოჟკა ხილი“ო. კი ბატონო, ხილი ნემნოჟკა კი არა, ერთ გოდორს მოვიტანთ, თქვენ ოღონდ მიმიღეთ, [illegible] მეტი რაი არის ჩვენსას, მსხალი, ვაშლი, კვიჰიჰე, თლად გაფსებულია მეთქი. შესკდენ სიცილი, რას ამბობო, მკითხეს.—შემცხვა, გავწითლდი კაცი... მერე გევიგე, თურმე ХИЛЫЙ, რუსულად სუსტი, ავათმყოფი ყოფილა.

მიმიღეს, რავარც იქნა. გამაგზანეს უჩებნი კამანდაში, იქიდან პრაპორჩიკების კლასში, იქინე მატრიალეს ურიეს ცხენსავით წალმა-უკულმა, გამიმწარდა სიცოცხლე, ვეფერი ვერ გევიგე უსტავკანონები, ვაინის პრავილები, ჰა, გამომაგდონ, ჰა, არა, აგერ გამომაგდებენ, ისე იყო საქმე, მარა, რავარც იქნა გამათავეს. ისე მარჯვეთ ქე ვიყავი, სკვინჩასივით დავხტუნავდი, გურულათ, კოხტათ და ამან მიპატივა გამოგდებაზე... გავათავე თუარა, მომცეს ფული, გამევიჩეშტე, გამოვეწყვე და იალა, სახლისკენ, მინდა ვეჩვენო ჩემს მარიკელას. მიველი შინ. გადამეხვია, ნენა, ბაბა, ბაღნები, შვილო, ქე გივარგია, მარა, ვინ იცის რა წეგეკიდოს.—ნუ გეშინია ნენა, მე კარგათ ვიყო და ჩემი ლეკური და სხვაი, რა მიჰირს მეთქინ... ლეკური რას გიშველის ახლა.—რავა არ მიშველის, აბა უყურე, ასე რომ ვიშიშვლებ, აბა დამიმაგრდეს ვინმე მეთქი... „На караулъ“ ვიყვირე და ვიშიშვლე ლეკური, იმდენი აღარ მიმიტანებია თვალი, საწყალ ბაბას, პაწე დააკლდა, კინაღამ წავათალე ცხვირი, ამ დროს თურმე სახლში ძაღლი იყო, შეეშინა არ დამჩეხოსო, იყვირა და გეიქცა თავ-პირ-ღლეტით კარებისკენ, ეტეკა ნენას და გადააკოტრიალა კარის ძირში, აგი დეინახა პაწა ბაღნებმა და შექნეს ბღავილი. ატყდა ერთი ვაი უშველებელი სახლში და ჩავაგე ქარქაშში ლეკური. აბა, ასეა საქმე... ტყულათაი ამევიღე ლეკური და ამისანა საქმეს ვშობი, იქინე თლად დავხოც კაცებს მეთქინ... მერე ჩემს მარიკელას ვესტუმრე, ვიქეიფეთ ძაან, დავშარნე. იმ დღეს სულ დავაგე ლობრები გზაზე. დუუტიე პაწა ფული ნენას, ბაბას და ჩემს მარიკელას, ახლა ქე მივალ პოზიციაზე... ვინ იცის რა დამემართება. პრაპორჩიკობას ქე მევესწარი მარა, , იქნება კიდევ ვარესაც მოვესრო. დასუდანია, პროშაიტ.

ლუკაიეს ობოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოხსენება

## საჭილაო

ეშმაკო! შენი ადათი,
ვისწავლე დაგყევ ნებასა
და აჰა, საჭილაოდან
გიგზავნი მოხსენებასა.

სბროიავაკკას ქარხანა
ხომ იცი რა-რიგ კარგია,
ქანქარი მისგან ნაწური
ბურჟუას როგორ არგია?
მაგრამ ფიცრების გარეშე
იქ კიდევ ერთი დარგია:
„სტრაჟური“ ხრიკი-ფანდები,
რაიცა კუჭის მარგია!

დიახ, ქარხანას ამასა
ჰყავს ერთი ვინმე ჩაფარი,
რომელსაც ხელში უპყრია
თოფი და ჩარჩის დავთარი·
ქუდს აგდებს ლატარიაში,
საათიც იქავ ტრიალებს,
საბრალო მუშის ქანქარსა
ნესტორი ჩაიჩხრიალებს!

ამბობენ: რადგან „სტრაჟია“
ჰხამს, მისი მორიდებაო,
ყველასგან ეპატიება,
ამგვარი თავის გდებაო,
„კოპერატივის“ ნისიაც
ფლავივით შეერგებაო,
ყოველგან სტუმარ-კაცია,
ყოველგან მუქთად ძღებაო,
თოფიან-ლეკურიანათ
უყვარს მუცელზე გდებაო.

ვფიცავ, მას არაც თუ მელიტონ
სულავა ჩამორჩებაო,
ბავშვების ცემა-ტყეპაში;
მოიმკო ქებათ-ქებაო;
ამბობენ: თუმცა მუშაა,
ჩაფრადაც გამოდგებაო,
ყოველი ყალთაბანდობა
იმისგან წარმოდგებაო.

აწი შენ იცი, მამაო,
იმათი განქიქებაო,
რომ ულოდნელათ, ორთავეს
წაუხთეს ჰამის ნებაო.
თორემ ამათი გმირობა,
აქ კარგი არ იქნებაო:
ფეხსა იკიდებს წყეული
პოლიციური სნებაო.

წელკავი.

## ჩოხატაური

მო, ჩემო სტვირო-ქამანჩავ
დაუკარ ნელა-ნელადა,
და მამასახლის-ივანეს
მივადგეთ სათხოვნელადა.
ვსთხოვოთ: თუ როდის საქციელს,
საქციელს ერთობ კრულსაო,
ან ნებით ჩამოეთხოვა,
ან შეაჯერებს გულსაო.
რაც ჟამი გადის, თანდათან
ის ბახუსს ეტრფიალება,..
და საზოგადო საქმეში
მარად ჟამს ეგვიანება.
ტრფობა ბახუსის იმასაც
აყენებს განსაცდელშია...
ხშირად ჟუნახავთ უზომოდ
გადაგრეხილი წელშია,
კიცხავდა იგი თავის თავს,
ვალდებულობას და დროსა...
იქვე კი იარშიყება
ბახუსის ცრემლით ვედროსა.

ასფურცელა.

## ქ. ბათუმი

(სცენა ნ. ა. ს—შ—ევის მაღაზიაში)

ალ. გიორგი! იმ ქალისაგან,
რო ვაჭრობდა მხიარულათ,
რაც ფულები გერგებოდა
ხომ აიღე ნაღდათ, სრულათ?

**ნოქარი.** სრულად აბა რომ დაუკლო
გიჟი მნახე თუ ცერცეტი,
,,ჩვენებურათ'' რომ სთქვას კაცმა,

გამოვართვი ექვსჯერ მეტი..
ალ. ექვსჯერ მეტი.. ეს კარგია...
დრო უნდა მოიხმარო,
რასაც მოვსთხოვთ მას გვაძლევენ
ჟამი დადგა სანეტარო.
ნოქარი. სანეტარო.. დღეს ომია,
რა გაუვა რომ სთქვას ვარი?..
უკაცრავად, ალავ თქვენთან,
მქონდა ცოტა სათხოვარი...
მოგხსენდებათ, რომ ჩვენ თქვენი
ერთგული ვართ, არა მტერი,
მაგრამ რა ვქნათ, რომ არა ვსთქვათ,
გაგვიძვირდა ყველაფერი.
რაც არ უნდა ვიკრიჭანგო
ყოფნა გახდა გასაჭირი,
და ამიტომ, გთხოვთ, ბატონო
მოგვიმატო ჯამაგირი.
ალ. ცხოვრება რომ გაგვიძვირდა
არ სჭირია განმარტება
კარგათ მესმის, და მსურს კიდეც
ჯამაგირის მომოტება.
სამ-სამ მანეთს მოგიმატებთ...
მთხოვეთ და რა გაეწყობა,
მუყაითად რო იქცევით
მეც მაქვს თქვენი ხათრი, ძმობა.
გენდობით და მალაზია
თქვენთვის ჩამიბარებია,
გახსოვდეთ: რომ ,,ბუნტოვჩიკი''
არას დროს არ მყვარებია.
ერთგულობა სიკეთეში
ყველამ უნდა შემომფიცოთ, —
თუმცა თქვენდგან არ მოველი
რომ ოდესმე გაიფიცოთ.

ჟანი.

## ბალახანა.

### სიტყვების ახსნა.

**ამხანაგობა ,,შტანგა''.** აქ ეს სიტყვები ასე ავხსენით: „შტან-გა“ შესდგება ორი სიტყვისაგან. პირველ სიტყვას „შტან“-ს ერთი ასო „ი“ შეკვეცილი აქვს. სრულათ რომ დავსწეროთ რუსული სიტყვა გამოვა: შტანი, ქართულათ — შარვალი.

მეორე სიტყვა „გა“ ქართულია. რომ სიტყვა არ გაგრძელებულიყო, ამ სიტყვისთვის „ხდა“ ჩამოუჭრიათ. თუ ერთად დავსწერთ გამოვა „გახდა“.

რომ ეს ასეა, ამის დასამტკიცებელი უტყუარი საბუთებიც ხელთა გვაქვს: აღნიშნულ ფირმაში თორმეტი საათის სამუშაო დღეა. თორმეტ საათს უნდა მიემატოს დილით ერთი საათი, რომ სამუშაოზე მისვლა მოასწროს მუშამ და საღამოთიც ერთი საათი რომ სამუშაოდან ოთახში დაბრუნდეს. საჭმელისთვის დროს თუ არ მიუმატებთ (რადგანაც პურის ყიდვა და ჭამა გზაში სიარულის დროსაც შესაძლებელია), გამოვა რომ მუშამ თოთხმეტი საათის განმავლობაში მაინც უნდა იფხიზლოს.

განათლებულმა ხაზეინმა კარგათ იცოდა, რომ ფირმის ადმინისტრაციის მამულიშვილური თვალყურის დევნების ქვეშ თოთხმეტი საათი ფხიზლობის შემდეგ მუშები ისე დაეყრებოდნენ ლოგინში, რომ რომ შარვლის გახდას არ დაგიდევდნენ.

რომ ჰიგიენის მხრივ შარვლით ძილი მავნებელია ამის ლექცია „ინჯილერ-ხაზეინს“ ალბათ ინსტიტუტში ყოფნის დროს არა ერთხელ სმენია.

ეხლა თუ წესისამებრ შევაგროვებთ და თავთავის ალაგას დავსწერთ „ამხანაგობა „შტანგა“-თი გამოითქმის ამხანაგობის განცხადება მუშების მიმართ: „თოთხმეტი საათის მუშაობა-ფხიზლობის შემდეგაც დაწოლის წინ შარვლის გახდა საჭიროა*).

ამ სიტყვების ახსნა იმიტომ იყო საჭირო, რომ შეიძლება ზოგიერთ მუშას არ ესმის რა ჰუმანიურის აზრით დაარქვა ქართველმა ხაზეინმა ფირმას ეს სახელი და ღირსა პატივისცემით არ არის ფირმისადმი აღჭურვილი.

დია.



---

*) რედაქცია სავსებით ვერ იზიარებს პატივცემული ავტორის განმარტებას. ძირი აღნიშნული სიტყვისა სისწორით არის ნაჩვენები, მაგრამ დასკვნა შეუფერებელია.

ჩვენის აზრით „შტან-გა“, ანუ „შარვლის გახდა“ მაჩვენებელია იმისი, რომ შარვლებს თვით ხაზეინები გახდიან მუშებს, ანუ უკეთ ვსთქვათ „შტანგა“-ში მომუშავემ შარვალის ტარებაზე ხელი უნდა აიღოს.

ეშმაკ. მათრ. რედაქცია.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!*)

თქვენი პატივცემული ჟურნალის 25 №-ში, მოთავსებულია ხონიდან ლექსი, სათაურით „ხონელი ფუტურისტები“. რადგანაც ეს მესამე წერილი მომდის ამხანაგებისაგან, რითაც მატყობინებენ, რომ დაინტერესებულ პირებს ჩემზედაც მიუტანიათ იჭვი, საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ლექსი მე არ მეკუთვნის, რასაც პატივცემული „ეშმაკის მათრახის„ რედაქციაც დამიმოწმებს. სწორეთ იმ ხანებში, როცა ლექსი დაიბეჭდა ჯარში გამიწვიეს და ქუთაისის სამხედრო ლაზარეთში ვიყავი მოთავსებული, აქედან აშკარაა, რომ იმ ხანებში [illegible] ხასიათზე არ ვყოფილვარ და მით უმეტეს ლექსათ წერა ჩემ ძალლონეს აღემატება.

პატ. ლეო რუხაძე.

---

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ფიცავს ყველა ხონელ კულაშელ და სამტრედიელ წმიდანებს, რომ ბ-ნი ლეო რუხაძე სრულიად უდანაშაულოა, რომ მას აზრად არ მოსვლია პოეტობა და თუ კი მას ასეთი ბოროტი განზრახვა ჰქონოდა განა იგი მშვენიერი სქესის წინაამღდეგ წავიდოდა?

პირიქით, უმანდილო „მანდილოსანთა“ ფეხების კოცნა პირველი საშვალებაა მგოსნისათვის სახელის მოსახვეჭათ.

# ჭორები ქუთაისში



პატარა ცუცა. დედიკომ სთქვა:--ჭორიკანა ელენამ ბიცოლა ელისაბედს ენა მიუტანაო. მიუტანოს რა!

რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაზაევის შესახვ., № 1